

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში (სსმ №15, 19.04.2005წ., მუხ. 101) შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65¹ მუხლის 6² და 6³ პუნქტებში ჩამოთვლილი ობიექტებისა, თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცემს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს თხოვნის საფუძველზე, ხოლო ქ. თბილისში – მერის წარდგინებით.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹ მუხლი:

„მუხლი 8¹. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების რეგისტრაცია

1. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონება, გარდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65¹ მუხლის 6² და 6³ პუნქტებით განსაზღვრული ქონებისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრირდება ამ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად;

2. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65¹ მუხლის 6² და 6³ პუნქტებით განსაზღვრული ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების მიზნით, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო წერილობითი მოთხოვნით მიმართავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს და წარუდგენს სათანადო დოკუმენტაციას, რაც წარმოადგენს აღნიშნული ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის საფუძველს.

3. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65¹ მუხლის 6² და 6³ პუნქტებით განსაზღვრული ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად აღრიცხვისა და საკუთრების უფლების უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დარეგისტრირების შესახებ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია აცნობოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

3. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. თვითმმართველი ერთეულის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესი

1. თვითმმართველი ერთეული მის საკუთრებაში არსებულ ქონებას განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო ქ. თბილისში – თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცეს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თვითმმართველ ერთეულსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის ფორმდება ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი